

საბჭოთა მშენებელი



ჩვენი ორფეოსი.

№
18

1920 წ.
 მარტის 21



უორდროპი. (უკრაინა და მდერის) მისმინეთ: ბათომისაკენ ცქერა რა სავარგულია...
 სულმნათი შოთას თხზულება ღრმა სიბრძნით მოქარგულია,
 აწ მისგან იქმულსა, ქართულო, კარგათ შიპ-არ გულია:
 «რასაცა გასცემთ თქვენია, რაც არა— დაკარგულია.»



ელსმენი.

შუალღე მოწურული იქნებოდა, როცა მომა-
რაგების სამინისტროს ერთ-ერთ განყოფილებაში
ფოსტალიონმა სახვევი ქალაღლისაგან შინა მრეწ-
ველობის გზით გაკეთებული მოყვითალო კონვერტი
შეიტანა და განყოფილების გამგეს გადასცა.

გამგემ წერილი ჩამოართვა, ცალი თვალი გა-
დაპკრა მისამართს და ბარათი მის გვერდით მეზო-
ბელ მაღიდასთან მჯღომლამაზ ქალიშვილს გადასცა.

რაკი წიგნაკში ხელი მოუწერეს, ფოსტალიონი
გავიდა. ყვითელი კონვერტი კარგა ხანს იდგა ყო-
ველგვარ ყურადღებას მოკლებული. აშკარათ სჩან-
და, რომ ამგვარი ბარათებით ყველას მოძულეუ-
ლი ჰქონდა თავი.

— რას იწერებთან, ქეთო?

იკითხა განყოფილების გამგემ ისე, რომ თვისი
გაშლილი დავთარისათვის თვალი არ მოუშორებია.

— რა იქნება... ალბათ ვინმე სპეკულიანტის
თხოვნა არის.—ზანტათ ჩაილაპარაკა ქეთომ და
კონვერტს თავი მოახია.

— ვნახოთ მაინც, საინტერესოა... განაგრძო
ბ-ნმა გამგემ იმავე აუშფოთებელი კილოთი.

ქეთომ ამოიღო კონვერტიდან პატარა ქალაღ-
დი, ქართული რემინგტონით კობტათ დაბეჭდილი
და დაიწყო კითხვა.

„მომარაგების სამინისტროს მეX განყოფილების
გამგეს.

თანახმად ფოსტა-ტელეგრაფის უწყებათა უფ-
როსის ბ-ნი დ. მგელაძის ფიცხელი განკარგულები-
სა გადაწყვეტილია თქვენს განყოფილებაში დღესვე
მოეწყო ელსმენი. იმეღია ამ განზრახვის განხორ-
ციელებაში ხელს არ შეგვიშლით. ჩვენი მხრით
ზომები უკვე შიღებულია. ფოსტის მოხელე ვ.
ქარბენაშვილი.“

კითხვა დასრულდა. განყოფილებაში სამარისე-
ბური სიჩუმე ჩამოვარდა. ვერაფერ ხმის ამოღებას
ვერ ბეღავდა, იმზომ საშიშარი და თავზარღამცემი
ღამოღდა ეს პატარა ცნობა. ყველაზე უწინ ისევე
განყოფილების უფროსი გამოერკვა.

— ერთი კარგათ ამოიკითხე, თუ ღმერთი გწამს,
რა უნდა მოგვიწყონ...

— აქ გარკვეულათ სწერია: „თქვენს განყო-
ფილებაში დღესვე უნდა მოეწყო ელსმენი.“

— რაო, რაო?

— ელსმენი, ბ-ნო, ელსმენი.

— დიდება შენს სახელს, უფალო! ყველაფერი
ღამიღონია და ასეთი ჯერ არაფერი მსმენია.

— აქ საღდა ჯანაბაში უნდა მოთავსდეს, ისე-
ღაც ერთმანეთს ვახედვართ თავზე!—წყენით წარ-
მოსთქვა ერთმა მოხელეთაგანმა.

— საქმე მოთავსებაში ხომ არ არის... კაცო

არ უნდა გავგაგებინონ, რას გვიპირებენ?... დასიღია
მეორე მოხელემ...

— ახირებული კია სწორეთ... დღესვე უნდა
მოგიწყოთ ელსმენიო... იქნებ არ გვინდა, ბატონო,
იმ ელსმენთან სამსახური... ცხარეთ წარმოსთქვა
ქეთომ.

— აქ პირღაპირ ნღობის საკითხიღა დასმული! ჰყა-
ვღეთ, ბატონო, ის ელსმენი, ოღონღ გაღაგებინონ
მე რას მერჩიან.

— ჩემის აზრით, საჭიროა ამ გაუგებრობის გა-
მოკვღევა და სათანადო გაშუქება. ცხადია ვიღაც
ოხერმა დაგვასმინა. შენიღნა ერთმა მოხუცმა მან-
ღიღოსანმა.

— აქ ორი აზრი შეუძღლებღია. ვინ ოხერი
ჩამოგვიჩხირაღდა აქ ელსმენს, თუკი ვისიღმ ინტრიღა
არ იყო. რა თქმა უნდა, საჭიროა ვაცნობოთ ბა-
ტონ მინისტრს და როგორც უნდა, ისე მოიქცეს.
საბუთიანად აღნიღნა განყოფიღების მღღიღანმა.

— თქვენ რა გაწუხებთ არ ვიცი, შეურაცხყო-
ფიღი თუ ვინმეღა, ეს პირვეღ ყოვღისა მე ვარ.
ცხადია, როცა პირღაპირ ვერაფერი დამაკღეს,
ახღა განიღდან მითხრიან ორმოს, მაგრამ სიღართღე
მაინც თავისას გაიტანს. აი ახღავ ვინახუღებ მი-
ნისტრის ამხანაღს და როგორც უნდა ისე მოაგვა-
როს ეგ საქმე. გაცხარებოთ წარმოსთქვა განყოფი-
ღების გამგემ.

— სიჩქარე მართღაც საჭიროა... აქა სწერია,
დღესვე მოგიწყობოთ... შენიღნა ქეთომ.

— ვნახოთ ერთი, გაიტანენ თავისას თუ არა.
ჩაიქნია ხელი განყოფიღების უფროსიღა, წაიღო ქა-
ღაღდი და გავიღდა.

მინისტრის ამხანაღის კაბინეტში ახღლმა მოწე-
რიღობამ აუწერელი შიში გამოიწვიღა, — კაცო,
გაიღე მაინც რა უნდა იყოღს ეს ელსმენი. არ უნდა
ვიცოღღეთ რას ვებრძოღოთ? შენიღნა ბ-ნმა ჰავ-
ქანიღემ.

— როგორ გავიღო, როცა არაფერმა კაცმა არ
იციღს. ჩვენთვის არაღის უკითხავს და უჩვენოთ
კარგ რასმე ვინ მოგვიწყობს.

— ცხადია ვინმე დამხმარე მოხელეს გინიღნა-
ვენ, მაგრამ მაკვირვებს უჩვენოთ ვის მოგპრინა
ასეთი განკარგუღების გაცემა.

— მე მგონია, ვიღაცა ჯაშუღშის მაღიერი უნ-
ღათ მოგვიყვანონ, რომ გვითვალთვალღს და ამბები
გაიტანოს. მთელი მოხელეღი შეურაცხყოფიღნი
არიან... რას გვერჩიან, ვერ გაგვიღია. თუ ის ჩვენ
დაუკითხავად ჩამოგვიყენეს, არც ერთი მოსამსახუ-
რე აღარ დარჩება განყოფიღებაში.

— თქვენზე მეტათ ეს ჩვენი შეურაცხყოფაღა,
შენიღნა მინისტრის ამხანაღმა. თუ სამსახურის მი-
ტოვებაზეღა საქმე, ჩვენ თქვენზე უწინ მივატოვებოთ.

— უნდა გამოიღრკვეს, ბ-ნო ივანე, საქმის
დაყოვნება არ შეიძღლება... დღესვე ნიღნავენ.— აი
ახღავ ვინახუღებ ბ-ნ მინისტრს.



მინისტრი სპეკულიანტებთან ვაჭრობაში იყო გამბული და ქირის ოფლი დასდიოდა, როცა მისმა ამხანაგმა კაბინეტის კარები შეაღო.

— ორიოდ სიტყვა მაქვს, ბ—ნო გიორგი, თუ შეიძლება მარტო დაფრჩეთ.

სპეკულიანტები გავიდნენ და ოთახში მინისტრი დარჩა.

— რაშია საქმე? დინჯათ იკითხა გიორგი ვრადემ.

— კაცო, ისე არეულია ეს დანიშნვა-განწყობის საქმე, რომ კაცმა არ იცის ვინ რას უვება. აი ჩემს ერთ ერთ განყოფილებაში დღეს ვილაც ელსმენი დაუნიშნავთ.

— ვინ ელსმენია?

— აბა მკითხეს? რა ვიცი, ვინ ოხერია!...

— მაიტა ქალაღი.

ბ-მა ჭავჭავნიძემ გადასცა ქალაღი და მინისტრმა გულდასმით გადაიკითხა ის.

— ელსმენის მოწყობა... არ ვიცი ღმერთმა-ნი... ვერაფერი გამივია.

— ჩვენ უწყებაში ჩვენ აღარაფერს გვეკითხებიან...

— ეს უნდა გამოვარკვიოთ. აი დღეს მთავრობის კრება არის და იქ დავსვამ ამ საკითხს.

— საქმე ის არის, რომ სალამოდ აღარ იცდიან. დღესვე უნდა ჩამოგვისახლონ. მოსამსახურეები ერთობ აღელვებული არიან.

— ეს არაფერია... ჩამოგვიყენებენ და გადაყენებთ... ესეც არ იყოს კანცელიარიის საქმე ხომ იცი, „დღესო“ რომ მოგწერენ დღეისწორსაც არ იქნება.

— თქვენი ნებაა!

მთავრობის კრების წესრიგი უკვე შემუშავებული იყო, მაგრამ მომარაგების მინისტრის თხოვნით შეტანილ იქნა ახალი მუხლი „ელსმენის მოწყობის“ შესახებ.

მთავრობის წევრთა შორის არ აღმოჩნდა არც ერთი, რომელსაც „ელსმენის მოწყობის შესახებ“ განკარგულება მოეხდინოს. ბ-მა ნოე რამიშვილმა, რომელსაც პირდაპირ ექვემდებარება ფოსტა ტელეგრაფის უწყება, კატეგორიულად განაცხადა:

— მე ამისი მსგავსი არავითარი ბრძანება არ გამიცია და არც ვიცნობ ვინ არის მოქალაქე ელსმენი.

არც ევგენი გეგეკორს, არც ნოე ხომერიკს, არც გრიგოლ ლორთქიფანიძეს, არც კონსტანტინე კანდელაკს, არც რაფლენ არსენიძეს და მით უმეტეს არც მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ქორდანიას ასეთი განკარგულება არ სცნობია. ამ გარემოებამ ცოტად თუ ბევრად დაამშვიდა მომარაგების მინისტრი ბ-ნი ვრადემ, მაგრამ საკითხის გამოსარკვევად საჭირო დარჩა ბ-ნი დიმიტრი მგელაძის გამოწვევა.

— თქვენი შეწყობა გამოიწვია ერთმა გაუგებრობამ.— მიმართა თავმჯდომარემ ფოსტა-ტელეგრაფის უფროს—საქმე იმაშია რომ მთავრობის დაუკითხავად თქვენ განგიზრახავთ მომარაგების სამინისტროში ელსმენის მოთავსება.

— დიახ, ბატონო.

— მერმე რა მოსაზრებით?

— მათივე თხოვნით, ბატონო! თითონ განყოფილებამ ითხოვა...

— ეს არ არის მართალი!—ჩაერია ლაპარაკში ბ-ნი ვრადემ—მოსამსახურეები გაფიცვითაც გვემუქრებიან.

— უკაცრავათ, ბ-ნო მინისტრო, ახლა თან არა მაქვს იმათი თხოვნა, ხოლო თუ ინებებთ ამავე წამში გაახლებთ... ჩვენ სხვას ჩამოვართვით აპარატი და ამათთვის გვინდოდა დაგვედგა... თუ არა სურთ, ნება მათია.

— რა აპარატი! ჩვენ ელსმენზე გეკითხებით.

— დიახ, ელსმენი...!

— ჰოდა ელსმენი ხომ თქვენ დანიშნეთ?

— დიახ ბატონო, მაგრამ იმათი თხოვნით.

ერთს უნდა წავართვათ და მეორეს დაუდგათ. სათადარიგო აპარატები ჩვენ არა გვაქვს.

— თქვენ კიდევ აპარატებზე.

— აპარატს შეკითხებით და მაშ რაზე გელაპარაკოთ, ბატონო.

— ჩვენ გვინდა, ეს ელსმენი გავიგოთ ვინაა.

— ჰო და აკი მოვახსენებთ, ელსმენი ტელეფონის აპარატია. ქარ...

— ტელეფონი?

— დიახ ტელეფონი.

— ელსმენი ტელეფონია?

— დიახ ტელეფონია.

— ეს რა რჯულის ენაზე ლაპარაკობთ? ტელეფონი ვინ გააღსმენა... კაცი ველარაფერს გაიგებს. წყენით შენიშნა კრების თავმჯდომარემ

— ქართულად ბატონო.

— ჩინებული სიტყვა! წარმოსთქვა ნოე რამიშვილმა.

— ლამაზი კია! დასძინა ნოე ცინცაძემ.

— აზრსაც გამოხატავს; შენიშნა ნოე ხომერიკმა.

— ჩემის აზრით, ნამდვილი შესაფერი სიტყვაა, დაუმატა გრიგოლ ლორთქიფანიძემ.

— ეს ერთი განყოფილება კი გადამირია და სხვა რა მოვახსენოთ.

კვლავ აღუშფოთებლათ წარმოსთქვა გიორგი ვრადემ და მოხსხა საკითხი „ელსმენის მოწყობის“ შესახებ.

მორიელი.

ე ვ ი ნ ჩ ი ლ ა.

(იგავი)

ეზოს მამალი დაჰკლეს და
 მის ადგოლს დასვეს ყვინჩილა,
 მანც შეიფერა: ეზოში
 თამამათ „წაიჩინჩილა“

ქათმებში გამოერია,
 მიუქუთქუთა ყველასა:
 „მემორჩილეთო მე, თორემ
 წაგვიდებთ ხათაბელასა!..“

დასტკეპნა ერთი, მეორე,
 დააბაკუნა ფეხები,
 სხვა ყვინჩილები დასტუქსა
 და გაუწვიმა შეხები.

დადის, ვით გვირგვინოსანი,
 ვით მეფე მირონცხებუდი.
 ჰხარობს, რომ ბევრი ცრემლსა ღვრის
 იმისგან დაპარცხებუდი!..

და ეზოს ბატონ პატრონი
 შეიქნა განუსაზღვრელი,
 ვით მისთვის ომის მომგები
 და ბევრი სისხლის დამღვრელი.
 ამ გვარ ყოფაში რომ იყო,
 გავიდა ხანი, დროება,
 და აჰა, ახლა ყვინჩილას
 ეს ეზოც ევიწროება!

თითქო მის გულის ტკავილსო
 განგებამ დასდო წამალი:
 იქვე მეზობლის ეზოდან
 ტურამ წაიღო მამალი.

ეს რომ ყვინჩილამ გაიგო,
 მყის გადალახა საზღვარი,
 და იმ ეზოშიც მეტოქე
 ვინც ნახა, ჩასცა ლახვარი.

იქაც დაიწყო ყოყორი,
 იქაც გამეფდა სრულადა,
 და იქაც თვისი წესები
 გამოაცხადა ბრძნულადა.

ამ ეზოსაც ჰფლოპს, იმ ეზოს,
 მესამეც იყვს ნეტავი!..
 ბრიყვს თუ შემთხვევა მიეცა,
 რაღა აქვს გაუბედავი?!

მაგრამ ბელს ამა ქიყენიურს
 ცუდი აქვს იგი თვისება,
 რომ ხან ერთს სწყალობს და ხან კი
 მეორეს მიეთვისება:

იმ ეზოს პატრონს ქალაქში
 ერთ დღეს მამალი ეყიდა,
 ფეხებ გაკრული მხარზედა
 ის ჯოხზე გადმოეკიდა,

მოვიდა, მოაკრიახა...
 იმ ღამეს ქოხში დამალა,
 დილით კი მას ჩააბარა
 სრულად საქათმის ამალა.

გარს შემოერტყენ ქათმები
 ამ თავის ახალს მთავარსა,
 შესტრფიან თავის თავსა და
 ეზოს მშვენება—ჯავარსა!..

ყვინჩილას დღესაც ის ეზო
 თავის სამკვიდრო ჰგონია:
 ზე გადმოფრინდა ლოქეზე,
 მოდის და თავმომწონია!

ჰფიქრობს: „გავივლი ქათმებში
 და მოვაგონებ წესებსო,
 ვინც ეურჩება ჩემს სურვილს,
 ის სიმწრით დაიკენესებსო!..“

მოდის და... ჰოი, განგებავ!
 „ეს ვინ-ღა მოსჩანს იქაო,
 ჩემს დანახვაზე რომ გასწყრა,
 მიიზნიქ-მოიზნიქაო?!“

და ასეთს მის გაოცებას
 ზედვე დაერთო ვაება:
 მოიქრა იგი მამალი
 და ჩვენს ყვინჩილას შეება.

ქოჩორში ჩაუნისკარტა,
 ჩას. ქო დეზები თქოში
 და გადმოაგდო იქიდან
 ისევ აქეთა ეზოში.

გადმოჰყვა, აქაც იფრინა,
 აქაც არ მისცა საშველი,
 სანამ არ გამოესარჩლა
 პატრონი ამის მნახველი.

უცხო მამალი რომ ნახა,
 მან ა-ქშია იმასა.

დარჩა ყვინჩილა, მაგრამ რა?
 მოსხამს სისხლის წვიმასა!..

შეძვრა იქვე ჩირგვებში
 ნაცემი, დამცირებული.
 ამას ჰხედავდა პატრონი
 და ფრთოსანთ შთელი კრებულის!..

ბევრია ჩვენშიც ყვინჩილა
 და უბადრუკი გონებით,
 ავიკლებს სიყოყორითა
 და ბრიყველ თავმოწონებით,

მისგან თქვენს გულისტკენასა
 არ დაეღება წამალი,
 სანამდის სირცხვილს არ აქმევს
 იმას მეზობლის მამალი!..



მოქალაქის დღიური.

თეკვა ფასებისა.

28 თებერვალი.

1) ფურნეში.

ვინა სთქვა, ვაჭრები ხალხს ავიწროებენო! პირიქით მე ყოველ-დღე ვხდები მოწამე მათ გულწრფელ და კეთილშობილ მისწრაფებათა.

დღეს, დილის 9 საათზე მორიდებით შეველ ფურნეში.

— უკაცრავად, პური რა ღირს? შევეკითხე მე. მეფურნე ისე ღრმად იყო ჩაფიქრებული, რომ ჩემი კითხვა არც გაუგონია. ალბათ ჰუმანიური აზრებით იყო გამსქვალული მისი გული, რათა შვება მიეცა მოქალაქეთათვის პურის გაძვირებით და ფულის გააფებით.

მე კითხვა განვიმეორე.

— რომელი პური?*)

— აი ეს.— ვუჩვენე შავ პურზე,

— თერამეტი მანეთი.

სიხარულით ცას დავეწიე, მაგრამ თავი შევიკავე, და დინჯათ მოვახსენე:

— ამიწონეთ ორი გირვანქა.

ვიყიდე, გამოვედი. გზაში ვფიქრობდი:

„გუშინ-წინ პური 17 მანეთი ღირდა, დღეს კი 18, მაშასადამე, რადგანაც მხოლოდ დღეს გახდა 18, იმედი უნდა ვიქონით 2 ან 3 დღეს მაინც გაიყიდება ამ ფასად.“

მე დარწმუნებული ვარ, რომ მეფურნე ზედმეტ მოგებას თავის ჯიბეში კი არ იღებს. არამედ „გზავნის“ გორში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთათვის.

2) სადალაქოში ანუ „საკრეჭ-საპარსში“.

არსად ისე გაგრცვლებული არაა პატივცემული ჟურნალი „მეზაქის მათრახი“, როგორც სადალაქოებში! ამით მე არ მსურს დავსცე პრესტიჟი „მათრახისა“, პირიქით ის გაგრცვლებულია ჩვენი საზოგადოების ყველა წრეებში, მაგრამ დალაქები პირდაპირ შეყვარებულნი არიან მასზე და მისი თაყვანის მცემელნი გამხდარან.

ალბათ სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ბ. დალაქები პირდაპირის მნიშვნელობით მისდევნენ მეზაქის ფილოსოფიას. მარტო დალაქები კი არა, საერთოდ ვაჭრები შეუგნებლად თუ შეგნებულათ ასრულებენ მის მოძღვრებას. მეც, თქვენს მონა-მორჩილს, რაჟამს „მეზ. მათრ.“ რედაქციამ შეასრულა მილიციის უფროსის ბრძანება, ვკითხულობ ხოლომე მას იმავე სადალაქოში, ჩემი რიგის მოლოდინში,—

*) დალოცვილს ვერ გავიგე რათ სჭიროდა კითხვა: ნუ, თუ ისე გიფი ვეგონე რომ თეთრი პურის ფასს ვკითხავდი

და კინალამ გავხდი ზემო-აღნიშნულ ფილოსოფიის მ. მდევარი.

მაგრამ მოვიდა ჩემი რიგიც.

— წვერი და თმაც? მეკითხება დალაქი.

— არა, ცხოლოდ წვერი.

ფული ძლიერ „ბევრი“ მქონდა, ვიცოდი ისიც ძლიერ „ცოტას“ მოძთხოვდა მაგრამ მოერიდა მისი შეწუხება.

დამიწყო პარსა... წვერიც მელეოდა და მეც ვილევოდი, ვინაიდან წინ მედგა ის საჭირბოროტო კითხვა, რომელიც ყოველთვის უხერხულად მიმაჩნდა. სახელდობო კითხვა: „რამდენი გერგებათ?“.

გათავდა პარსვა. მე მოვიკრიბე ღონე და ჩუმაღ შევეკითხე.

— ოცდა ხუთი. იყო პასუხი.

ისე ნაღვლიანად და საბრალოდ მითხრა, თითქოს რად მაწუხებ ზედმეტ კითხვითო.— რომ შემეცოდა და თან ვინანე, რად შეიყვითხე-მეთქი, ფული საჩქაროდ ამოვიღე და მივეცი.

რომ გამოვედი, გზაში მივხედი, თუ რად მითხრა ისეთი საცოდავი ხმით. ალბათ, რომ არ შემშინებოდა და უმტკივნეულოდ გადამეხადა ფული...

ნარგიზი!

პატარა მესტეგირული

აჰა ელია, მელია.

დრო დადგა სანატრელია,

დღე გავვითრდა მზიანი,

გაჰქა წყვიადი, ბნელია.

ტახტიდან გადმოაყუდეს

ნიკოლოზ, თვითმპყრობელია,

მ ტომაც ახალთაობის

სულ ყველა მადრიცელია.

აჰა, ელია, მელია,

ცხოვრება გახდა ძნელია;

ლამის შიშშილმა გვიმსხვერპლოს,

სიმინდი შემოგველია.

ჭირმა გასწყვიტა ძროხები,

ძალზე გაძვირდა ყველია,

არ გვეშოვება ფართალი

დავდვარ ტანშიშეელია.

მეჭრთამეობა გახშირდა,

სიგლახეს მიჰყვეს ხელია,

თუმცა გათენდა, მაგრამ ჯერ

ზოგისთვის, კდევ ბნელია.

აჰა, ელია, მელია,

კიდევ მაქვს მე სათქმელია,

მუშები იყვლიფებიან,

ვაჭრებს დაუდგათ რთველია.

ფულით აავესეს ყუთები,

ჯიბე აქვთ განასქელია

და თუ რამ აღარ ვიღონეთ,


სწორედ დაგვრიეს ხელია.

კ. ბ-ძე.

დამფუძნებელი კრება.




სიმონ შლივანი. დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგი. ხიდი, რომელიც გადაებულია მთაწარმისა და ფედერალისტების პარტიას შუა და რომელიც მუდამ ჩატეხილია. მისი შეკეთება ყოველად შეუძლებელია.



ლ. შენგელაია. დამფუძნებელი კრების სოციალ-რევოლუციონერების ფრაქციის მირაბო. გზავთ, „პეტრუშკას“ ნუ მიამსგავსებთ: მართალია, მისი პირით კოპუნისტი ლაპარაკობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეზო-ეზო არ ატარებენ. არც ბავშვების გუნდი დასდევს ქუჩაში.

სწავლა კაცს სიბერემდე არ მოსჭარბდება.



რკინის გზის რუსი მობელეები ქართული ენის გაკვეთილზე.



20 თებერვლის მიწის ძვრის დროს ჩამოინგრა
ეშპაკის მათრახის“ წერილთა საწყობის ერთი
ანყოფილება. ნანგრევთა გადასინჯვის დროს აღ-
ოჩნდა ჩვენი თანამშრომლის ბუტუნას ლექსის
ვაში. როგორც მოგვხსენებთ ამ ლექსის შესახებ
იდი მიწერ-მოწერა სწარმოებდა ჩემსა და ბუტუ-
ნას შორის, რომელმაც დიპლომატიურ ურთიერთო-
ბათა შეწყვეტამდე კინალამ მიგვიყვანა.

ეშპაკი.

აი ის ლექსი:

ა ლ ი ლ ო.

(საშობაო)

აი ალილოვო და.

შობის მახარობელი ვართ
ნაახალწლევს იანვარში,
მთაში ვენახს დაგილოცავთ
და ჭირნახულს კიდევ ბარში,
პურ ღვინოში პურადი ხართ,
მასპინძლობით საქებარი,
შამოსვლაზე ვარს არ ვიტყვით
რომ გაგვიღოთ სახლის კარი,
სოფელ-სოფელ სიარული
ალილოზე გახდა ფუჭი,
ღვეძელს არვინ არ იძლევა,
სიმშლიდან გვეწვის კუჭი,
იქნებ პური არ დაგირჩეს,
ჩვენ არ ვწუნობთ ღვეძელს მქადის,
კუჭი მიზეზს აღარ დასდევს
მის სივრცეში ყველა ჩადის,
კვერცხი თუა შიგ მირთული,
შეკაზმული ჭყინტი ყველით,
ქრისტეს შობას მიგაგებებთ
ამ სტუმრებით სასურველით.
მოსახლევ კარგი ყოფილხართ,
ძროხაც გყოლია ნისლოა
მასპინძელო, გაგვისტუმრე:
სხვაგანაც გვინდა მისვლოა

აი ალილოვო და.

იქნებ წყრებით ქრისტეს შობას
ნაახალწლევს რომ გილოცავთ,
გარედ გამო, გვიპასუხეთ
კერიასთან რომ დაცოცავთ.
წელთ აღრიცხვას რას უყურებთ
„კალანდობა“ გიდგას წინა,
უპურღვინო მასპინძელი
„ბასილობამ“ შეარცხვინა.

მასპინძელი


აი ალილოვო და.

ერთად დაბნეულხართ თქვენი

შობა ახლ წელიწადით,
მწუხარებას ნუ მიმატებთ:
სიდანც მოდით იქით წადით,
რა მაქვს თქვენი მოსალოცი,
რა ჯანდაბით გამახარებთ
იქნებ თქვენი ალილოით
საქვეყნო ზავს დაამყარებთ?
სიზმარში რომ არ მელანდოს
თათარ სომხის შამოსევა,
ბალნების და ლებ-საბანის
აღმა დაღმა მუდამ თრევა,
ნუ თუ სხვები არ მეყოფა,
რალა თქვენ გაქვთ ჩემი უინი,
ან ლენინი კი წამიყვანს,
ან ფაშა, ან დენიკინი.
იქნებ თქვენი მოლოცვებით
ამევესება ლომით ხულა,
სადაც ხუთი წელი ვადის
თაველი არ შენახულა,
ან სიმინდის მოსავალმა
სანჩხვეზე რომ ვარი მტკიცა,
და საცეცხლე სასიმინდეს
თავებებიც რომ გაეფიცა.
ერთი ნახეთ, ჩემს ქალბატონს,
როგორ შეენის ტომრის ფარჩა,
(ბათომში რაც ფართალი აქვთ
ინგლისელებს ოხრად დარჩა),
დედის ხორცა კიტა-ღუებს
რომ უყურებ ცეცხლის პირად,
ეგ სიცოცხლე არამია
და სიკვდილი მიჩანს ჩირად.
მთავრობას და ღმერთსაც ვებრძვი,
ბალშევიკად რომ დამსახონ:
ჯერ ჩემი ბალნები და
მუზანდარა უნდა ნახონ.
რო მილოცავთ ალილოის
მე ვავიწყებ ბალნებს შობას,
თქვენ ხელს მიშლით ამ საქმეში
გგფიცებით მე თქვენს ძმობას.
აბა რამე თუ გამაჩნდეს
პურ ღვინოში სირცხვილს ვჭამდით
ან ამდენ ხანს თქვენს ლილინში
სახლში ბაწრით დამაბამდით?
აილე ლონეს ჰკიდია
მოიტანე ქონებასა
მეტს ნურაფერს ნუ მათქმიებთ
მამითქვენის ცხონებასა.

ბუტუნა.

მ თ გ ზ ა უ რ თ ბ ა.



ზავი. მთელი წელიწადია გზაში ვართ, ნეტავ როდის მივალთ.
 თანამგზავრები. ნუ ჩქარობ, ჩემო კარგო, თითქმის მივედით... ერთი ვერსი უკვე გავიარეთ,— გასა-
 ვლელი სულ რაღაც ასიოდ ვერსილა დაგვრჩა.

გურჯაანის ქრონიკა.

— საქართველოს უდიდეს ფინანსისტს დ. ლუ-
 კაშვილს გურჯაანის შემნახველ-გაწესებულ ამანა-
 გობის ოსტატურ დაცარიელებისათვის ლოცვა-კურ-
 თხევით ებოძა უმაღლესი ჯილდო ყელზედ სატა-
 რებლად წარწერით: „ЛѢВЫЙ КАРМАНЬ“.

— მიწად-მ-ქმედების მინი ტრი მიხა ჩუგოშვილი
 ამით აცხადებს დავრდომილ და მშვიერ „ბრატის“
 საყურადღებოდ რომ მათ დაურიგდებოთ მისი საკუ-

თარი სახლიდან და საკუთარი ბედელიდან საფონდო
 სახნავ მიწებიდან მოკრეფილი ღალა-პური 0,001
 ლიტრა წელიწადში კომლზედ. კანტორა ღიაა: დი-
 ლის 00 საათიდან ღამის 00 საათამდის.

— დაიკარგა გურჯაანის რაიონის თეზი. ნიშნები
 1. შავი ქულაჯა და შავი ფაფახი (ყაბარდული). 2.
 მოთეთრო „პლაში“ (სამხედრო ტიპისა), 3. კონ-
 დუქტორის პალტო და ქუდი. მსურველს მიეცემა
 ჯილდოთ ვერცხლის უზანგებიანი ჩერქეზული უნა-
 გირი ადიკო ანდრონიკაშვილის ნაქონი.

უპატრონო ქალაქში.



სპეკულანტები (ბათუმს დანაფარდობენ თავს და ნელ-ნელა ეშვებიან) აი, აქ დავეშვათ. ამ ქალაქის ბატონი ჩვენი დიდი მეგობარია, გულუხვადაც მიგვიღებს და ხალხისაგანაც დაგვიფარავს. ვიღრე ის ამ ქალაქშია, ჩვენს ბედს ძალღი არ დაჰყუფს!..

ს ო ნ ი.

მიწის ძვრა.

მიწის ძვრისაგან ხონში ძლიერ დაზიანდა ყოფილ კომუნისტის ანდრო ბაბტაძის სახლი, როგორც ამბობენ, სახლის ქვეშ ჰყოლია რამოდენიმე ორსული ცხვარი, რომლებიც იქვე დახოცილან.

არულიად განადგურდა ს.-ფ. სარეგულირების პარტიის კლუბი, რომელიც მეოთხე სართულში იყო მოთავსებული.

განადგურებულია მასწავლებლის ვარდენ ქაცხარავას ახლად გაშენებული აგურის სახლი, როგორც სპეციალისტები დათა და სხვები ამბობენ, კირი ყოფილა ცუდი გამოძწვარი.


თეატრის გვერდით ვარლამ შალაქიაშვილის ადგილში ამოუხეთქია გოგირდის წყალს.

მრავალი ქვით კირის ღობეები დანგრეულა და იმედია სა-რეგულირებო პარტია შეუდგება ეზოების სოციალიზაციის განხორციელებას.

ნიკო გვაზავა.

ქუთაისი.

ჩვენ გასული ნომრიდან უკვე დავიწყეთ ქ. ქუთაისის სიმშენიერეთა ჩვენი ძვირფასი მკითხველების თვალთა წინაშე გადაშლა. განვარდით ეს საქველმოქმედო საქმე.




ქუთაისის ქუჩებში მოგზაურობა მრავალ მხრივ „საშეფარდენო“ ვარჯიშობას წარმოადგენს. აქ არის სპორტი ცურაობისა და, წარმოიდგინეთ, არა ნავეებით, არამედ ურმებით. თქვენ ხომ გაგიგონიათ, რა ძნელია საცრით წყლის მიტანა? დამერწმუნებით, არა უფრო ადვილია ურმით ცურაობა. ქუთაისის ქუჩებში კი ამასაც ახერხებენ.



აქვე, ქუთაისის ქუჩებში, არის მეორე დარგის ვარჯიშობა „ორმოში ჩახტომ...“ ამოხტომის კი რა მოგახსენოთ.



დასასრულ მესამე დარგი ქუთაისის ქუჩებზე ვარჯიშობისა გახლავთ „შეხლა“, რომლის დროს განსაკუთრებულ ზეგავლენას განიცდის ადამიანი ბუფერი, — ცხვირი.




არც სკოლის საქმეა ქუთაისში სრულიად მივიწყებული. ამ სურათზე გადმოცემულია ზამთრის გაკვეთილი „სკოლაში“. (ზამთრის გაკვეთილი „გარეთ“ ხდებოდა ბულვარის გარშემო და მოთავსდებოდა ბუნებრივად.)



მასწავლებლები სკოლის დარბაზიდან მხოლოდ ოთხ სამთზე გამოდიან.



განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია ქუთათური ვაკების ყოფაქცევა. წინათ ის-ნი ჩოხი-კალთაზე აფრინდებოდნენ მყიდველებს და თავის ღუქნისაკენ ეწეოდნენ „მობრძანდი ბატონო“-ს საძხილით.



ახლა კი ის კომერსანტის ღირ'ებათა შესაფერი სიღინჯით სდვას სავაჭროს წინ, რომელშიაც ერთი ხველი ჯორის თუ ცხენის ბარკალი უკიდია და...

მეშტვირული.

(ეშმაკს).

პიიპუ... პიპუ... პიპუ...
 პიიპუ... პირლიმ... პიპუ...
 ძველი მეშტვირე გახლავარ,
 შტვირის გულა დამიძველდა,
 ქალამნები შემომავჯა,
 ჩოხაც უშნოდ დამიგრძელდა,
 ყველა ამას რომ დავხედე,
 გულზე მეცა ჭწარე ელდა,
 მეტის-მეტი სიცივისგან
 სურდო ხველა გამიხელდა,
 და ამ თოვლიან ზამთარში
 სიარული გამიძნელდა,
 მაგრამ მაინც გეხელი
 გითხრა ლექსი და შაირი,
 გამბო ახალ-ახალი
 ამბები ნაირ-ნაირი.
 პიიპუ... პიპუ .. პიპუ...
 პიიპუ... პირლიმ... პიპუ...
 ღმერთმა დასწყევლოს საჩხერეს
 ის ჩიხის კანცელარია,
 რაც იქ ამბეზსა სჩ დიან,
 ძველი-მწერლების ბრალია,
 კურდღლის შეძებარივითა
 გაუცქვევითა ყურები,
 თაობი იმთიან სპირაქსო

ვის მოაქვს ხაჭაპურები.
 მამასახლისის გაზრდილებს
 არცერთს არაფრის სცხვენია,
 დაჩვეულები არიან:
 ნამეტნათ უყვარსთ ძღვენი.
 პიიპუ... პიპუ... პიპუ...
 პიიპუ... პირლიმ .. პიპუ...

II.

ჩარჩებს და სპეკულანტებს,
 სათათბიროთ აქ აქვსთ ბინა,
 თუ არ ბატონი ვასილი,
 სხვა ვერ შედის ვერავინა.
 სჯიან და ბჭობენ ხალხისთვის
 მათი „ერთგული“ შეილები,
 საწყალი კაცის შემცოდე
 ბეგალოვ-შათაშვილები.
 პიიპუ... პიპუ... პიპუ...
 პიიპუ... პირლიმ... პიპუ...
 რომელი ერთი მოფთვალო
 სპეკულიანტების გვარია,
 ერთმანეთში ირევიან
 ვით ბრძოლის ველზე ჯარია,
 მათ სათარეშოთ გამხდარა
 ეს ჩიხის კანცელარია.
 პიიპუ... პიპუ... პიპუ...
 პიპუ... პირლიმ... პიპუ...
 ახლა, ბატონო ეშმაკო,
 მან...



არ ინებებდი ურიგოს
 საჩხერე რომ გაიხსენო,
 მობრძანდე შენი მათრახით
 ეს ხალხი შეგვიფუცხუნო,
 მაგრამ სხვებზე უფრო მეტი
 ვასილსა და მღვდელს უცხუნო.
 ჰიპო... ჰიპო... ჰიპო...
 ჰიპო... ჰირლიმ... ჰიპო...
 ჩემი რჩევა რომ გასჭრიდეს,
 ეს რომ ასე მოხდებოდეს.
 შენი კულ მწარე მათრახი
 ამათ მაგრად მოხვდებოდეს,
 მაშინ ამ ჩემს ქანგიან შტვირს
 ოქროს წყალში დაფერავდი,
 და სიძველით დაძრულ გუდას
 ოქრო-მკედით დავეკრავდი...
 შაირები და ლექსები
 თავში ოხრად მომიჯარა.
 მაგრამ აწ უნდა გავჩუქდე...
 გავჩუქდები სწორედ თვარა
 ძველმა გულამ მიღალატა!
 სადღაც სული გაეპარა.
 ჯერ-ჯერობით ეს მიიღე,
 დასაწყისად ესეც კმარა,
 გაგრძელებასაც მოგართმევ,
 თუ კალამი დამეხმარა.

ჰიპო... ჰიპო... ჰიპო...
 ჰიპო... ჰირპილიმ... ჰიპო...

გიგოუკა რაჭველი.

ქრონიკა

დ. აბაშა. ჩვენი ახლად აღორძინებული სამ შობლოს საამაყოთ ბ. ეშმაკის მიერ დასახული რეფორმა ქეიფისა აბაშის ინტელიგენციის მიერ შეურყეველი სისწორით ტარდება უკვე ცხოვრებაში.

გამოცდილი ტოლუმბაშები სიხარულით აღნიშნავენ, რომ სადღეგრძელოთა მიღების ახალი სისტემა უდიდეს ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს ტოლუმბაშთა მოვალეობის ასრულების საქმეში, ვინაიდან სიფხიზლეშივე გვაშორებს ბევრ თავსამტვრევ საკითხებს სადღეგრძელოთა რიგისას.

ჩვენ გვრწამს რომ რეფორმის სისწორით ცხოვრებაში გატარების შემდეგ არც ერთი სუფრის წევრი არ იგრძნობს თავს შეურაცყოფილათ. თუნდაც ის ყველას ბოლოში იქნეს მოთავსებული.

ჯიჭიე.


ჩემი დემოკრატიული რესპუბლიკა.

იმ დღიდან, რაც საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა, რასაც მოყვა ცხოვრებაში აუარებელი რეფორმები, საქირო იყო, ჩემის აზრით, კიდევ ერთი უაღრესათ საქირო რეფორმა; სახელდობრ, ჩვენებურ ოჯახების დემოკრატიულ ნიადაგზე მოწყობა. სიმწუხაროთ, ეს კითხვა, ანუ პრობლემა, ჯერ კიდევ რიგს ელის. დარწმუნებული ვარ, ეს ასე დიდხანს ვერ გასტანს და საქირო ცვლილებაც უეჭველათ მოხდება, საქმე მხოლოდ იმაშია, რა გზით განხორციელდება ის. თუ ამა-საც კიდევ რევოლიუცია დასჭირდა, შენი მტერია, ჩვენ დღე დაგვაყენოს. ეს რევოლიუცია ხომ ოჯახებში უფრო ჩაგრულმა ელემენტებმა, ე. ი., დედა-კაცებმა უნდა ითაონ და ვისაც რევოლიუციონურ დედაკაცისაც არ ეშინია, ვაეკატთა შორის იგი მიქია.

თქვენი კი რა მოგახსენოთ და მე ამ ნიადაგზე დიდი შიში გამომივლია. ბოდიშს ვიხდი საერთოდ ქალების წინაშე და მე, როცა ქალებზე ვმსჯელობ, სახეში მყავს უმთავრესათ ჩემი ხვარამზე, როგორც თავისი სქესის ტიპური წარმომადგენელი. დიახ, მე რომ ჩემი ხვარამზე ისე „თავშენახული რევოლიუციონიზმი“ ვიცი, მისი ძლიერამოსილობის წინაშე მუდამ ქედს ვიხრიდი. ხოლო თუ ასე ვიქცეოდი წარსულში, როცა კანონი ჩვენ, ქმრებს, ქალებზე დიდს უპირატესობას გვაძლევდა, რალა გასაკვირია, ასე ვიქცეოდე დღეს, როცა ეს უპირატესობა აღარ არსებობს.

ყველა ზევით ნათქმის გამო, მეც ერთ მშვენიერ დღეს (რიგით ეს იყო ჩვენს ცხოვრებაში შესამე მშვენიერი დღე) ავიღე და გამოვაცხადე ჩვენს ოჯახში დემოკრატიული რესპუბლიკა.

ჯერ, როგორც დეკრეტი და მერე შეუდქი მის ცხოვრებაში გატარებას აუჩქარებლათ, თანდათანობით. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ კარგათ ვიცი ჩვენებურ ოჯახის უმეტესობის ნახევარი—პატრიარქალურ, ნახევრათ მონარქიული განწყობილება და რომელიც მათგანიდან შეიძლება დაძრულიყო რეაქციის მკაცრი სუსხი ჩვენ ნამოქმედართა გასანადგურებლათ. წარმოუდგენელია დემოკრატიზმის ის სიფართოვე, სიგრძე სიგანე, სიღრმე და სიმაღლე, რომელზედაც დამეყარა ჩვენი ოჯახის წყობილება. აქ რა თქმა, უნდა ბევრი რამ ჰირდაპირ გადმოვიღეთ სხვადასხვა დემოკრატიულ სახელმწიფოთა პრაქტიკიდან, ხოლო დიდი უმეტესობა თვით ჩვენ შევქმენით. პირველათ შემოვიღეთ მაგალითად: ჩვენ უარყავით ჩვეულებრივი პარლამენტი და გავაპარლამენტეთ მთელი რესპუბლიკა. ამით ჩვენ ყველა მოვიმადლიერეთ, უმაღლრი სა-



ხელმწიფოში არავინ დაგვრჩენია. მთავრობის შედგენაშიც გამოვიჩინეთ ძალთა რაც შეიძლება დიდი ეკონომია. მთელი კაბინეტი შესდგება 4 პირისაგან. (რესპუბლიკაში კი სულ 5 წევრია). მხოლოდ ერთ წევრს, სახელდობრ ჩვენ 5 თვის პატარა ქალს, პირიმზეს, არ მიუღია მონაწილეობა ამ არჩევანში. საზოგადოთ ამ პირიმზეზე უნდა ითქვას, რომ ის პოლიტიკურ საკითხებში დიდს ინდიფერენტობას იჩენს. მთავრობის თავმჯდომარის მისი ამხანაგის და ფინანსთა მინისტრის პორთფელი მხვდა მე, როგორც რესპუბლიკის უხუცეს წევრს. შინაგან აურზაურთა, სურსათთა, განათებათა, გზათა და ზღვათა საქმეების პორთფელები ერგო ჩემს მეუღლეს ზვარამზეს. მასვე სამართლიანად ერგებოდა სამხედრო საქმეთა პორთფელიც, ვინაიდან ჩხუბისა და აყალ-მაყალის საქმეში იმას ჩვენს რესპუბლიკაში ბადალიც არა ჰყავს, მაგრამ, რადგანაც კავობრიობის ისტორიას ჯერ არ ახსოვს, რომ აღნიშნულ საქმეების სათავეში დედაკაცი მდგარიყოს, ჩვენც ამ ტრადიციის დარღვევას ვამჯობინეთ სამხედრო საქმეები ჩაგვებარებია ჩვენი 10 წლის ვაჟის, ვალიკოსათვის, მით უმეტეს, რომ სახელიც ხელს უწყობს.

ჩვენი არჩევანი რომ სწორედ ზედმოჭრილი იყო, ამის გამოვლენებას არც დიდათ დაუგვიანია. მოგვარდა თუ არა მთავრობის შედგენის საქმე, ერთმა მეტად საშიშმა მკერმა, სახილდობრ, ბუნებამ, გამოგვიცხადა მკაცრი ომი, წამოგვიშინა ჯერ სიტყვის შრაპნელი, შემდეგ გადმოგვათოვა უჩინარი ტყვიის მფრქვეველებიდან, გამოუშვა ცივი მხრ-ჩოლავეი გაზი, ერთი სიტყვით, დაიწყო ომის წარმოება გამოუთქმელის სისასტიკით. ეს მოხდა ისე მოულოდნელათ, რომ ვისაც ამ ამბის გაგონების წუთს პირი ვალეზული ჰქონდა, მოკუშივა ვერ მოასწრო, ხოლო ვისაც ის მოკუშული აღმოაჩნდა, ვერ მოასწრო მისი ვალეზა. მკერმა ჩვენს რესპუბლიკას ყოველის მხრით ალყა შემოარტყა და თითქმის ყველა გზები შეგვიკრა. ჩვენ აღმოგჩნდით სრულიათ მოუშზადებელნი: არ გააგანდა არა თუ ომისთვის, არამედ უბრალო არსებობისთვის საჭირო სურსათი, საცმელი, სათბობი მასალა და სხ. მდგომარეობა მეტად კრიტიკული შეიქნა. თუ არ ჩვენი სამხედრო მინისტრის სწრაფი და გაბედული ნაბიჯები, ჩვენ უეჭველი კაპიტულიაცია მოგველოდა. მან, ე. ი. ვალიკომ, ელვის სისწრაფით იერიში მიიტანა მტრის მარჯვენა ფრთაზე (ქუჩა ჩვენს ბინას მარჯვნივ ჩამოუდის) მთელი დღე, დილიდან საღამომდის, აღჭურვილი მტრისთვის ჯერ უცნობი ახალი სისტემის იარაღით „როგატკით“ ის სულ მუსრს ავლებდა მტერს.

სამხედრო მოქმედების დროს სამწუხაროდ დარღვეულ იქნა მეზობელ სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი. „როგატკიდან“ გასრულილმა ყუმბარამ შეანგრია მეზობლის სახლის სარკმელი და იქაურ სა-

ნაპირო რაზმს დიდი ზიანი მიაყენა. ამ გარემოებას უეჭველათ მოჰყვებოდა მეზობლის ჩვენს საწინააღმდეგოთ ომში ჩამორევა, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრო დროზე არ მიშველებოდა და ზარალის ანაზღაურებით, ბოდის მოხდით და სხვა გონივრული ზომებით მეზობელი არ შეეჩერებია.

საზოგადოთ ამ ომმა და მისმა ისე რიხით ჩატარებამ ჩვენ კიდევ ერთხელ დავაპრშმუნა ჩვენი დაწყებული საქმის სიმართლეში. ომი დასრულდა. მტერს უკვე შევეკარით ჩვენთვის ხელსაყრელი ზავით, რომლის ძალით სადაო აღვიღებთ: „ისპანკა“, „ტიფი“ და „ხველა“ ჩვენ დაგვჩა ყველა...

ამის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში დადგა სრულიათ ახალი ხანა, ხანა აღმშენებლობითინ მუშაობისა. პირველი კითხვა, რომელსაც ჩვენ ყურადღება მივაპყარით იყო და არის ეგრეთ წოდებული „აგრარული კითხვა.“ აგრარული კითხვა უცხო სახელია და ჩვენებურათ ნიშნავს მიწის ანუ თიხის საკითხს.

მას შემდეგ, რაც რევოლიუციის გრივალი ამოიჭრა, მიწის საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოიჭიმა ჩვენს წინაშე. რასაკვირველია ამ საკითხს ისე, როგორც თვით რევოლიუციას, ხელი დიდათ შეუწყო მხოფლიო ომმა. საქმე იმაყია, რომ თუ კი რამ ფაიფურის, ან უბრალო შუშის ქურჭელი მოიპოვებოდა, სუყველა ომის ვეშაპმა ჩანთქა. ამან გამოიწვია ხის და განსაკუთრებით კი მიწის, ანუ თიხის ქურჭლის ხმარება, მით ამ დარგის წარმოების ვალევიება ერთი სიტყვით, მიწათმოქმედების მოგვარება. ეს არც ისე იოლი საქმეა იგი მოითხოვს ამ საქმის სათავეში გამოცდილს ნიჭიერს და ენერგიულს პიროვნებას.

ჩვენც ამას სათანადო ყურადღება მივაქციეთ. მკითხველის წინაშე ბოდის ვიხდი, თუ აქამდის ვერ გავაცანით მას ჩვენი თიხათ-მოქმედებას. ვისწრაფით დანაშაულის გასწორებას, ეს მეტად რთული საქმე ჩვენ მივანდეთ გამოცდილს, თითქმის დახელოვნებულს და ენერგიულს პირს, ჩვენი ექვსი წლის ქალს თამროს. ენერგიით შეუდგა საქმეს. ჩვენს რესპუბლიკას ჰქონდა რამდენიმე მეტ-ნაკლებათ დიდი მამული მიწის ფონდში და მიწათ მოქმედების სამინისტროს პოლიტიკაც მდგომარეობდა ამ მამულების „დანაწილება“ — ში.

მახსოვს... ეს იყო სწორით ზავის ჩამოგდების მეორე დღეს, როცა ჩვენი მიწათ მოქმედების მინისტრი, აღჭურვილი ვეებერთელა ციციხვით ჩვენი მიწის ფონდიდან ერთად ერთ დიდ სალობიო ქოთანს როგორის ენერგიით ეცა და როგორის სისწრაფით იქვე დაანაწილა. ამას მოჰყვა ერბოს ქოთანი, ერთად ერთი სურა და კოკა. დარჩა საფქვილე ხალამი და საწყლე ქვევრი, რომელთაც მალე იგივე ხვედრ ა. ელის, როგორც პირველებს. ამ რიგათ ჩვენი მიწათ-მოქმედების მინისტრის შესა-



ნიშნები აგრარული პოლიტიკა გვაფიქრებინებს, რომ აგრარული საკითხი მალე გადაწყდება ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი რესპუბლიკის არსებითი ინტერესები.

ამის შემდეგ ჩვენ რესპუბლიკის ცხოვრებაში დადგება სრულიათ ახალი ხანა, შემდეგ ეს ხანაც გაივლის და თავს იჩენს სრულიად ახალი ხანა და ასე ბოლომდის.

ჩვენ აქ შეგვეძლო კიდევ ბევრი რამ გვეთქვა,

მაგრამ რაც ვსთქვით, ისიც მეტი იყო, ვინაიდან ჩვენ ვიძლევიან ანგარიშს და არა სამოქმედო გეგმას, ამ მოსაზრებით აქ, სწორედ აქ, და არა სხვგან, ვსვამთ წერტილს იმ იმედით, რომ ზედ ფე არფინ წამოიკრავს, და რაიც მოსალოდნელია, იწაიტებს.

ონისიმე.

გემრიელი ტორტი.



ინგლისი და საფრანგეთი. (ზელს ართმევენ ერთმანეთს კონსტანტინოპოლის ზემოდან) ეს ტკბილი ტორტი რომ არ გვიღებოდა, ჩვენს დაძაბვას ვე-აფინ დაარღვევდა.